



# გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

სარეზოლუციო ნაწილი

9 აგვისტო, 2019 წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო  
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - ზაალ მარუაშვილი  
სხდომის მდივანი - ნინო ართილაყვა

**მხარეები:**

მოსარჩელე - პაპუნა უგრეხელიძე

წარმომადგენლები: ტარიელ ჩოჩიშვილი, მერაბ ჭიკაიძე, გელა ნიკოლაიშვილი

მოპასუხე - ეკატერინე მესხიძე

წარმომადგენლები: დავით ლომთაძე, მარიკა დუმბაძე

დავის საგანი - პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფა

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე მუხლის პირველი ნაწილით, 55-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 243-244-ე, 249-ე, 257-ე, 369-ე მუხლებით,

გადაწყვიტა:

1. პაპუნა უგრეხელიძის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. მოპასუხე, ეკატერინე მესხიძეს დაევალოს:
  - 2.1. შპს „იბერია TV“-ს ეთერში, 2018 წლის 26 მარტს, გადაცემაში „ახალი

ამბები“ გაკეთებული შემდეგი გამონათქვამის უარყოფა: „ეს გამოიხატებოდა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში, ყოველდღიურ ურთიერთობაში იქედან გამომდინარე, რომ მის უშუალო დაქვემდებარებაში ვიყავი, მის დავალებებს ვასრულებდი და უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ მარტივად რომ ვთქვათ და ავხსნა ჩვეულებრივი აგრესია, რომელიც შეიძლება ადამიანმა გამოხატოს და შემდეგ ანუ დაჩაგროს და შემდეგ იმის გამო, რომ დაჩაგრა, ეს მას სიამოვნებას ანიჭებდეს. აი, შემიძლია უბრალოდ ასე მარტივად აღწერო ეს ყველაფერი“.

2.2. შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის ეთერით 2018 წლის 24 მარტს, გადაცემაში „შაბათის კურიერი“ გაკეთებული შემდეგი გამონათქვამების უარყოფა: „ეს იყო ყოველდღიური დამცირების, შეურაცხყოფის, როგორ გითხრათ - ზეწოლის. ამის ახნა ძალიან რთულია, იმიტომ, რომ ეს არის ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური ტერორი; ყვირილი, ჩხუბი, დამცირება, შეურაცხყოფა, გინება, - რა გითხრათ აბა, - დაშინება; ნებისმიერი ფორმით შეიძლება მან ეს გამოხატოს; ეს ზეწოლა კიდევ უფრო გამძაფრდა იმის გამო, რომ მე სახალხო დამცველს მივმართე; იმის გამო, რომ მე ხმა ამოვიღე და გავაპროტესტე ასევე ვთქვათ ეს თემა, შეეცადნენ კიდევ უფრო დავესაჯე და წამოვიდა კიდევ უფრო მეტი მუქარა, შანტაჟი“; „იმუქრებოდა, რომ იმ სამსახურიდანაც გავათავისუფლებინებ თავს; მემუქრებოდა, რომ მანამ არ მოვისვენებ, სანამ არ დავმარხავ და არ დავასამარებ, არ გავახარებ იმიტომ, რომ ქალი ხარ და შემიძლია შენ დაგამცირო, დაგაშინო, შენზე ფსიქოლოგიურად ანუ უარყოფითად ვიმოქმედო, სტრესში გამყოფო, დაგამონო და ვიყო შენი მესაკუთრე“.

2.3. შპს „ტელეკომპანია პირველის“ ეთერით, 2018 წლის 28 მარტს, გადაცემაში „რეაქცია“ გაკეთებული შემდეგი გამონათქვამების უარყოფა: „აქ არ არის საუბარი ქალის დისკრიმინაციასა, თუ კაცის დისკრიმინაციაზე, აქ საქმე ჰქონდა ძალადობას“.

3. მოპასუხე, ეკატერინე მესხიძეს დაევალოს ზემოაღნიშნული გამონათქვამების უარყოფა მოახდინოს იმავე საშუალებებითა და ფორმით, რა საშუალებებითა და ფორმითაც გავრცელდა ეს ცნობები მის მიერ.
4. სხვა ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს .
5. მოპასუხე, ეკატერინე მესხიძეს მოსარჩელე, პაპუნა უგრეხელიძის სასარგებლოდ დაეკისროს სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარიდან, 50 ლარის ანაზღაურება.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-7 პუნქტით

გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

7. თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე

ზაალ მარუაშვილი